



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

უკეთესი მმართველობისთვის



sao.ge
sao@sao.ge

მისამართი - ქ. თბილისი, **0144**, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი **N96**
(+995 32) 243 84 38 (178)

ბიუჯეტის მონიტორი
budgetmonitor.ge

პოლიტიკური პარტიების შემოწირულობები და ხარჯები
monitoring.sao.ge

მისამართი - ქ. ქუთაისი, 4600, ირაკლი აბაშიძის ქ N22
(+995 32) 243 82 82

მისამართი - ქ. ბათუმი, 6000, შერიფ ხიმშიაშვილის ქ. N7, იუსტიციის სახლი
(+995 32) 243 81 97

1

ჩვენ შესახებ

მისია

სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესებისა და საჯარო რესურსების უკეთესად მართვის ხელშეწყობა - კანონიერების, ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვით.

ღირებულებები



ობიექტურობა



პროფესიონალიზმი



დამოუკიდებლობა



საჯაროობა





სტრატეგიული მიზნები

2

- « ხარისხიანი აუდიტორული საქმიანობის განხორციელებით საზოგადოებისა და პარლამენტისთვის სარგებლის მოტანა;
- « კვლევით - ანალიტიკური საქმიანობით მთავრობის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა;
- « პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა;
- « ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება აუდიტის მაღალი ხარისხის, დროულობისა და რელევანტურობის უზრუნველსაყოფად.

3

აუდიტორული საქმიანობა

აუდიტის ძირითადი
მიმართულებები

ფინანსური

შესაბამისობის


ეფექტიანობის

ინფორმაციული
ტექნოლოგიების



აუდიტორული საქმიანობის დამატებითი სარგებელი

- ◆ გამოვლენილი დარღვევის გამოსწორება
- ◆ გამოვლენილი დარღვევის განმეორების პრევენცია



5

აუდიტორული საქმიანობა

ფინანსური აუდიტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური გასცემს დამოუკიდებელ მოსაზრებას იმის თაობაზე, შეესაბამება თუ არა აუდიტის ობიექტის საქმიანობა და ფინანსური ანგარიშგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებსა და საერთაშორისო სტანდარტებს.

შესაბამისობის აუდიტი

აუდიტის მიზანია ობიექტის საქმიანობის შეფასება მოქმედ კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ ნორმებთან, სახელშეკრულებო და საგრანტო მოთხოვნებთან, ორგანიზაციულ პოლიტიკასთან და პროცედურებთან შესაბამისობაში.



აუდიტორული საქმიანობა

6

ეფექტიანობის აუდიტი

სწავლობს ორგანიზაციის საქმიანობის ან/და სახელმწიფო პროგრამის მართვის ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის ძირითად ასპექტებს. ეფექტიანობის აუდიტი საშუალებას იძლევა შეფასდეს კონკრეტული მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებებით მიღწეული შედეგები და ამ პროცესში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეკონომიურობა და პროდუქტიულობა.

ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი

მიზნად ისახავს აუდიტორული რწმუნების მიღებას იმაზე, თუ რამდენად უზრუნველყოფენ ინფორმაციული სისტემები ორგანიზაციის მიზნების მიღწევას, ინფორმაციული აქტივების დაცვასა და სისტემაში არსებული მონაცემების სისრულესა და სიზუსტეს.



7



არააუდიტორული საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

8

ბიუჯეტთან დაკავშირებული
ანგარიშები

პოლიტიკური პარტიების
დაფინანსების მონიტორინგი

კვლევით-ანალიტიკური
საქმიანობა



9

არააუდიტორული საქმიანობა

ბიუჯეტთან დაკავშირებული ანგარიშები

სახელმწიფო აუდიტის სამსახური მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სისტემური ხასიათის ხარვეზების გამოვლენასა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას, რაც აისახება სამსახურის დასკვნებსა და მოხსენებებში, როგორც ცენტრალური ბიუჯეტის, ისე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის. სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამზადებს შემდეგ ანგარიშებს:

- ❖ მოხსენება ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ მთავრობის ანგარიშზე;
- ❖ დასკვნა ბიუჯეტის კანონის პროექტზე და მოხსენება მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ;
- ❖ ანგარიში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯვასა და შესრულებასთან დაკავშირებით ჩატარებული აუდიტების შესახებ.


სახელმწიფო ბიუჯეტთან და ჩატარებულ აუდიტებთან დაკავშირებული ინფორმაცია ასევე წარმოდგენილია სას-ის ანალიტიკურ ვებ-პლატფორმა ბიუჯეტის მონიტორზე: **budgetmonitor.ge**



სახელმწიფო
ბიუჯეტი



მუნიციპალური
ბიუჯეტი



გზამკვლევი



მუნიციპალური
ბიუჯეტი



მოქალაქის
გვერდი



ჩვენი
სამშრომლობა

11 | არააუდიტორული საქმიანობა

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგი

პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახური კანონით განსაზღვრული მიზნებისა და მოთხოვნების შესაბამისად, უზრუნველყოფს პოლიტიკური პარტიების ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებას, სისტემატიზაციას, ანალიზსა და შემოწმებას. მონიტორინგი წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ ღონისძიებათა სისტემას, რომელიც მიმართულია, ხელი შეუწყოს პოლიტიკური დაფინანსების სფეროში კორუფციის რისკის მინიმუმამდე დაყვანას.

პოლიტიკური პარტიების შემოწმებები და ხარჯების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ ვებ-გვერდზე: **monitoring.sao.ge**

შემოწმირულებების ძიება



საპალატიო აუდიტის სამსახური
პოლიტიკური პარტიების ფინანსური
საკუთრების მონიტორინგის სამსახური

გა

გა

მთავარი

სისტემები

ჩვენს მუშაობა

დეკლარაციები

საბარეგო დეკლარაციები

კონტაქტი

2016 წლის წლიური დეკლარაციები

დეკლარაციები

გადახედეთ

monitoring.sao.ge

შემოწმირულებების ძიება

შემოწმირულების ტიპი

პირადი სუბიექტები

შემოწმირულების ტიპი

პირადი შემოსავლების ტიპები

მართვა

პირადი მართვა

პირადი მართვა

თარიღი

გა

მე

იარაღიანი ფორმა

☐ ფიზიკური

☐ იურიდიული

☒ ორივე

მასშტაბი

სახელი, გვარი / დასახელება

იხილეთ/დაწვრივ

პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი

ძიება

გადახედეთ

13 | არააუდიტორული საქმიანობა

კვლევით-ანალიტიკური საქმიანობა

სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია, უკვე მეექვსე წელია საჯარო სექტორს პროფესიულ-საგანმანათლებლო, საექსპერტო-ანალიტიკურ და აუდიტორულ მომსახურებას უწევს. საჯარო ინსტიტუტის უმთავრესი მისიაა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი შეუწყოს საჯარო ფინანსების მართვასა და საჯარო სექტორის აუდიტის სისტემის განვითარებას საქართველოში. საჯარო აუდიტის ინსტიტუტი ყოველწლიურად ახორციელებს საჯარო სექტორის აუდიტორთა სერტიფიცირებას, უზრუნველყოფს ტრენინგების მომზადებასა და გადამზადებას, რითაც ხელს უწყობს ამ სფეროში მომუშავე აუდიტორთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. ტრენინგებისა და სსიპ-ის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ ვებ-გვერდზე: **sai.ge**



15

შეფასებები და მიღწევები

OECD-ACN - ის კვლევაში დადებითად შეფასდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის როლი ანტიკორუფციულ საქმიანობაში

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ანტიკორუფციული ქსელის (**OECD-ACN**) 2015 წლის კვლევაში ხაზგასმულია და დადებითად არის შეფასებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის როლი ანტიკორუფციულ საქმიანობაში.

“ღია ბიუჯეტის ინდექსით“, სახელმწიფო აუდიტის სამსახური უმაღლესი ქულით - 100/100 შეფასდა საერთაშორისო ორგანიზაცია ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის მიერ 2015 წელს გამოქვეყნებული „ღია ბიუჯეტის ინდექსით“, სახელმწიფო აუდიტის სამსახური უმაღლესი ქულით - **100/100** შეფასდა.

პოლიტიკური ფინანსების მონეორიგების კუთხით, საქართველომ უმაღლესი ქულა დაიმსახურა 2015 წლის ივლისში გამოქვეყნდა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების **Global Integrity** და **Sunlight Foundation**-ის მიერ პოლიტიკური ფინანსების საკითხის მონეორიგების კუთხით (**Money, Politics and Transparency**) შედგენილი რეიტინგი, რომელშიც საქართველომ ყველაზე მაღალი ქულა დაიმსახურა; შედეგად - მსოფლიოს მასშტაბით პირველ ადგილზე გავიდა.

მოკოვებული ჭილდოები [IDFI]

2015 წელს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მოიპოვა 2 ჭილდო:

- ◆ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის
- ◆ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პროაქტიული უზრუნველყოფისთვის

შვედეთისა და საქართველოს აუდიტის სამსახურების წარმატებული თანამშრომლობა

უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების ევროპული ორგანიზაციის (EUROSAI) 2013 წლის შეფასებით, შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ურთიერთობა თანამშრომლობის და ინსტიტუციური განვითარების ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად დასახელდა.

PEFA – ს შეფასება D+-დან B+-მდე გაიზარდა

საჯარო ფინანსების ეფექტიანობის შეფასების სისტემის (PEFA) ფარგლებში ევროკომისიის/მსოფლიო ბანკის მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობის შეფასება ბოლო შეფასების შემდგომ (2008 წ.) D+-დან B+-მდე (2012 წ.) გაიზარდა. აღნიშნული გაუმჯობესება, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაკავშირებულია აუდიტის სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების დანერგვა/გაუმჯობესებასთან, რომლებიც საშუალებას იძლევა ფოკუსირება მოხდეს მნიშვნელოვან და სისტემურ საკითხებზე, აგრეთვე გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე.

17

საერთაშორისო თანამშრომლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური გაწევრიანებულია უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების საერთაშორისო ორგანიზაციასა (**INTOSAI**) და მის რეგიონულ გაერთიანებებში (**EUROSAI, ASOSAI**):



■ **INTOSAI** | 3 კომიტეტი 4 ქვეკომიტეტი 4 სამუშაო ჯგუფი

■ **EUROSAI** | 5 სამუშაო ჯგუფი 2 სამიზნე ჯგუფი

■ **ASOSAI** | სრულუფლებიანი წევრი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ასევე აქტიურად თანამშრომლობს დონორ და პარტნიორ ორგანიზაციებთან:



შვედეთის ეროვნული
აუდიტორული ოფისი



მსოფლიო ბანკი



პოლონეთის აუდიტორული
ოფისი



აშშ-ის საერთაშორისო
განვითარების სააგენტო

Implemented by

giz
Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

გერმანიის თანამშრომლობის
საზოგადოება



ამერიკის სანგზარეო ოფისი



ლატვიის სახელმწიფო
აუდიტის სს



ლუი ბერგერი



ევროკავშირი



გერმანიის უმაღლესი
აუდიტორული ორგანიზაცია



ქორეის უმაღლესი
აუდიტორული ორგანიზაცია